ჩვენი ევრო ბაღს სამი ვუვლილი: მანანა, გია და მე. ჩვენ მზიასაც ვთხოვეთ, მასაც მოვლო ყვავილებითაჟეის, მაგრამ უარი განაცხადა: — მე არ მცალია, მუსიკაში ვმტყვლინებო. ძია არჩილის დახმარებით ჩვენ ჰადარის ძირში დავდგით მრგვალი, თვითნაკეთი ხის მაგიდა და სკამი, ხოლო ყვავილებს დამტვრეული აგურების ღობე შემოვაკეთეთ.

დეიდა თამარი სამუშაოდან დაღლილი ბრუნდებდა და ხშირად ზის ჩვენს სკამზე.

ამას წინათ, ევროში დავრგეთ ალვის ხის ნერგს. ძია არჩილმა თქვა, — როცა გაიზარდება, კარგი ჩრდილი ეწებება. ერთ დღეს ვბედავთ, რომ

ორკაა ტოტი მოჭრილი აქვს. გვიწყინა. არავინ არ გამოტყდა. მომეჩვენა, თითქმის ზურაბი გავიოლდა, მაგრამ ხმა არ ამოიღო. ერთ დღეს, სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, ვხედავ: ზურა, დანიო ხელში, ქურდულად მიიპარა ალვის ხისკენ. მე კიშკარს მოვუდგურე და ჩუმად ვთვალოვთვლებდი. ის უკვე მიუახლოვდა ხეს და დანის დასმა დააპირა, რომ საფრიდან გამოვვარდი და ხელში ვწვდი.

— საძაგელო! — ვუპვირე, — როგორ ბედავ, რას გიშავებს?! — და დანა ხელიდან გამოვვლოქი.

ზურაბი დაიბნა და წაილულულუა: — არა, ისე... იცი რა, არ მინდოდა, ქეთინო... მამატე, გეხვეწები. ამ სიტყვებით შინისკენ გაიქცა. მეც სახლში ავიდი. დედას უკვე ვა-

ეშალა სურა, ევროში აღარ გამიშვია. ხელები დავიხანე და ვიხადილე, ხოლო შემდეგ ბანდი და სარწყავი ავილე, ბაღში ჩავიდი. იმ დღეს ჩემი მორიგეობა იყო. ზურაბი დავინახე. კმაყოფილი სახე ჰქონდა. ვიფიქრე, — ალბათ ისევ ტოტები დააპირა ალვის ხეს-მეთქი. ახლოს მივიდი, დასერილი ადგილი ბანდიო შეეხვია და ხეს ძირს უბარავდა.

— იცი რა, ქეთინო, მეც თქვენთან ერთად მოვუვლი ბაღს, კარგი? — მითხრა მან და თვალები გაუბრწყინდა.


— კარგი, კარგი, — ვუბასუხე და ყვავილების მორწყვას შევადმიტე.

— ქეთინო, მზიასაც სურს თქვენთან შემოერთება, აგერ, სადა დავს, — მითხრა ზურამ და აივინისკენ გაიშვირა ხელი,

— ჩაოდი, — ხელი დავუქნიე მზიას და გავუღიმიე. მაღლი ევროში ჩამოვიდა და ჩვენსკენ გამოიქცა.

მას შემდეგ ჩვენ საუკეთესო მეგობრებც ვართ: მე, მზია, გია, მანანა და ზურა, — ყველანი ტყის შემეგობრები ვავდებით.

დაიხ, ყველაზე ძალიან მიყვარს ჩვენი ევრო. სიმართლე რომ ვთქვა, ყველაზე ღამაში მაინც ჩვენი ევრო მგონია!



მთებზე მოვრბივარ, მოვხტუნავ, მოვიმღერ, მომიხარია!
გადმოვირე ვლები,
მინდორი, მთა და ბარია!

მთებმა გადიგდეს ზურგიდან
ფაფუკი თოვლის საბანი;
მა თვის მიკრავს ღამაში,
მიღმის იასამანი.

მე მხიარული წყარო ვარ,
მოვდივარ, მომიხარია!
გადმოვიმღერე ვლები,
მინდორი, მთა და ბარია!

ვაურ შატრაშვილი,
ატენის სკოლა-ინტერნატის
IX კლასის მოსწავლე.




მოდის ენგური, მოედინება,
აქაფუბული შმაგი, მიქინვარი,
მოღის ამაყად, მომსურება,
მაღალ მთებიდან ჩამომდინარი,

მდინარე გიკი, შემუზავარი,
მუდამ მრისხანე და ამღვრეული,
სახლისოდენა ქვეს მოაკურებს
მისი ტალღები ბრავმოზრეული,

მოედინება ამაყი, დიდი,
ქეჩოყრელი, მაღალმზინი,
ვერ ეგუება და ვერ იჯერებს,
რომ იმორჩილებს ადამიანი!

დომიკო გურჩიანი,
მეტხობს რაიონის ცენტრის საშუალო
სკოლის VI კლასის მოსწავლე.



კარებამდე მიგაცილებს, შიგ არ შემოგყვება.

ღირიანზე ყუწწით შეგდგი ბიჭი მუცუღვანიერი,
რაც მიგეცი, ღირს გადგსა, თვითონ დარჩა ცარიელი.

აწინწილ-მაწინწილა, პაწია და ხმაწინწილა.

სული — სხვისი, ტყავი — ჩემი, ფხსა მკრავ და გავიქცევი.

არის პატრია და ყურიანი, ხან უკუღლა, ხან კუღიანი.

სენი

ჩერა მლიომ ლაბაურსა,
საგარეო ურთიერთობების VIII კლასის მოსწავლემ.

გარეუბნის ზედა

მარინე თორღია,
ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკო-
ლის VI კლ. მოსწავლე.

გაზაფხულის დილა იყო. ჯერ კიდევ ძილ-ბურანში იდევდი, რომ ადინიდან უღრურტული მომე-
და: ქიკ-ქიკ, ქიკ-ქიკ. გახარე-
ბული წამოვბედი ლოგინიდან და
გარეთ გავვარდი. ამისრულდა ნა-
გებრა. მოფრენილა ჩემი მერცხა-
ლა და სახურავის კიდებზე ჩამო-
ვარდა.

უცერად, მერცხალმა ფრთები
გაშალა, ჩვენს სახლს რამდენჯერ-
მე გარს შემოუფრინა, მერე კი
ისევ ძველ ადგილას ჩამოვდა და
საწყვლობლად აქევირდა. ჯერ
ცერ მივხედი, თუ რამ დაამწუხრა
ჩემი გულგებრა. მერე ერთმა
ფიქრმა გამიფლდა თავში: შენოდ-
გამაზე ჩვენი სახლი შევაკეთეს
და, ვაითუ მერცხლის ბუდე და-
ანგრინი? მართლაც, ბუდე არ-
სად ჩანდა, მალოც მეწყინა, არ
ვიყოფდი რა მექნა, რით გამეზარ-
თლებინა თავი, მის ბუდეს რომ
ცერ ვუპატრონე, ვერ დავაზღვე-
დე უფნებელი...

ბოლოს, ვადგეწყვიტე — ძია
ილია მეხანა და მეკოხა, სახლის
შეკეთებისას მერცხლის ბუდე
თუ შევამჩნიოთ და რა უყავით-
მეთქი.

მამინვე გავიქციე. საბედნიერ-
ბოდ, ძია ილია შინ დახვდა. ჩე-

მი მისვლის მიზეზი რომ გავიგო,
გაიღიმა და მითხრა: — როგორ
არა, ბიძო, ენახე. მერცხლის
ბუდის დანგრევა არ შეიძლება
და მე იგი არ დამინგრევია, პირი-
ქით, კარგ ადგილას შევიხანხე. აი,
წაგეყვი და გავჩვენებ.

წამოვდილი. ძია ილიამ სახლს
კიბე მიადგა, ზედ ავიდა და სა-
ხურავსა და ქერს შორის ხედი
შეხეო. სულ მალე, მის ხელში,
ფიცრის ნაქერზე მიკრული ბუდე
დავინახე. ძია ილიამ ის ფიცარი,
ბუდელადა, ძველ ალაგას მიაშავრა
და ძირს ჩამოვიდა.

უსაზღვროდ იცევი გახარებუ-
ლი, შავრამ... ჩაჩდება თუ არა
მერცხალი თავის ძველ ბუდეში?
მოლოდინში გული მიფანქვალე-
და. იქაურობას გავეცაო და
ოთახში შევედი. ცოტა ხნის შემ-
დე წყნარად გავედი აივანზე.
ავიხედე მალა და... სიხარული-
საგან კინალამ შეგვევირე; ჩემი მერ-
ცხალი თავის ძველ ბუდეში ჩა-
მქდარიყო.

ერთხანს წყნარად იჯდა ბუდე-
ში, შემდეგ ერთი მზიარულად შე-
ეჩვიკეკა და პაერში გაინავარდა.
მინდოდა კიდევ დინახს მეტეი-
რა, შავრამ დიდი არა მრჩებოდა.
დამშვიდებულმა ვისაუბრე, წიგნი-
ები ჩანთაში ჩავაღაგე და სკოლით-
საყენ გავსწიე. ყურში კი სულ
მერცხლის სიმღერა ჩამესილია:
ქიკ-ქიკ, ქიკ-ქიკ, ქიკ-ქიკ...

მონავარდე, მოწურულე,
ქარზე ნახე, ქარზე ლბილი,
ხმა — სათუთი, ხმა — ნარნარი, —
ჩვენს სმენაში შემოქერილი...

ხან გვეწვევა აივანზე,
ხან მინდორში, ხან ბაღნარში.
შვენის კრძალვა და სინაზე,
სიმსუბუქე მიმოხვარსი.

უმბარი მალამოა
მინდვრების და ქედებისა,
ის თავისით არ ამოვა —
ფრთებს მოჰყვება მტრედებისას.

ზინან ბოლამი,
ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა
სახსლის ნორჩ შემოქმედთა წრის წევრი

უკანმონე სუკია

ჩვენს ეზოში დარბოდა პატრია ლე-
კვი. არ ვიცოდი — ვისი იყო. ჩემმა
ამხანაგმა თქვა: — მოდი, სახელად
„უპატრონი“ დავაქვთათო. დავთა-
ხნებდით. ყველას უნდოდა, ლეკვი
სახლში წაეყვანა. კინალამ წაი-
ჩნებუთ. ბოლოს, გადაწყვიტეთ, ბის
ძირას ლეკვისთვის სახლი აგვეშენე-
ბინა. გავიქციეთ სახლში, მოვიტანეთ
ყუთები და იარაღები, დავიწყეთ მუ-
შაობა. უფროსები მოგვიმზარნენ.
სულ მალე მშენიერი, კოხტა სახლი
დავუდგით ჩვენს „უპატრონოს“.
თამრიკოს ბებიამ ძველი ბალოში მო-
გვცა „უპატრონი“ საწოლისათვის.
რამდენიმე დღეში კარგი მოკლეთ,
„უპატრონი“ მოკეთდა, გასუქდა. ყვე-
ლას შეგვიყვარდა, ისიც ყველას გვე-
უფრებოდა. ბურთის თამაშის დროს
სულ ფეხებში გვებღინებოდა, ყვე-
ლას გვეყვარდა და არ ვუწყობო-
დით. ერთ დღეს, მე ბიჭებს ვუთხა-
რი — მოდი, ბიჭებო, გადავარქვათ
სახელი ამ ჩვენს „უპატრონოს“ —
ამდენი პატრონი ვყავართ, რატომ
უნდა ერქვას ეს სახელი, ცოლი არ
არის ამდეთქი?

იმ დღის შემდეგ ლეკვს „მურიას“
ვეძობით.

ზინალ ბიზინაძე,
თბილისის 58-ე სკ. სკოლის III
კლასის მოსწავლე.



სუ ქნი და ენციკლოპედიის ენციკლოპედია



მხატვარი ზურაბ შორჩინიძე

მეფე ჯონის უღმობელოობის ამბავი მთელმა ინგლისმა იცოდა. იხივ იცოდნენ, რომ მეფე შეძლებულვებს ვერ იტანდა და თავისზე მდიდარ კაცს ინგლისში არ გააქაბანებდა.

ერთხელ ჯონმა ყური მოჰკრა: ენციკლოპედიის ებისკოპოსი დიდი სიმდიდრის პატრონიაო. ხალხი ამბობდა, რომ ებისკოპოსს ზღაპრულად მორთული უწარმარაო სასახლე ჰქონდა და ასობით გუშავი და მსახური მუყავდა; იმასაც ამბობდნენ, ებისკოპოსის მსახურებს ყელზე ოქროს ძეწკვები ჰქონდათო.

ჯონი გაჭავრდა. მისი აზრით, ამგვარი ცხოვრების ღირსი მხოლოდ თვითონ იყო. განრისხებულმა ებისკოპოსთან კაცი გაგზავნა და სასახლეში მოაყვანინა.

— ამბობენ, თქვენი სასახლე მეფისაზე დიდი და მდიდარულიაო, რას იტყვით, მართალია? — შემპარავად იკითხა ჯონმა.

— რას ბრძანებთ, თქვენი უდიდებულესობავ, — მიუგო ებისკოპოსმა. — მე არც ისე მდიდარი კაცი ვარ და, ისეც არ იყოს, უპატიოსნო გზით ხომ არაფერი შემიძენია?

— მაგითი რისი თქმა გინდათ? — წამოერთო ჯონი, — მე ხომ არ გადამოქარით იტყვა? თუ ასეა, თავზე დობისათვის სიკვდილით დაისჯებითო.

— მომიტევით, მილორდ. რასაც ხალხი ლაპარაკობს სულ სიძრუება, დვთის გულისათვის ნუ დამსჯით, — შეევედრა ებისკოპოსი.

— ვთქვი და გავთავი. — მოუტრა ჯონმა, — თუშცა არა...თუ ჩემს სამკითხვარე დამაკმაყოფილებლად მიპასუხებთ, სიცოცხლეს შეგიწარმოებთ, თუ არა და...
მეტო რა გზა იყო, ებისკოპოსი დათანხმდა.

— პირველი, — დაიწყო ჯონმა, — ზუსტად მითხარით ჩემი ღირებულება; მეორე — გამომიანგარიშეთ რამდენ ხანში შევძლებ მთელი დედამიწის შემოვლას, და ბოლოს, გამოიყვანით რაზე ვფიქრობ ამ წუთში.

ებისკოპოსი გამოვლულ მდგომარეობაში ჩავარდა. მას არც ერთ კითხვარე არ შეეძლო პასუხის გაცემა. პასუხების მოსაფიქრებლად მეფეს სამი კვირის ვადა თხოვა. მეფე დათანხმდა.

დაღონებულმა ებისკოპოსმა ოქსფორდს მიაშურა, შემდეგ კემბრიჯის პროფესორებიც ინახულა, მაგრამ ამაოდ, ვერც ერთი გამოჩენილი მეცნიერი ვერ დაეხმარა.

დანიშნულ დრომდე კი რამდენიმე დღედა იყო დარჩენილი. სასოწარკვეთილი ებისკოპოსი შინ ბრუნდებოდა; ფიქრებში წასულს მოულოდნელად შინ შეერეხა მისი მეცხვარე, რომელიც იქვე, გზის პირას ცხვრებს მიერტყებოდა.

— კეთილი იყოს თქვენი მოზრანება! — შესძახა მეცხვარემ, — სასახლეში რა ამბებია?

— ძალიან ცუდი, — მიუგო ებისკოპოსმა, — სამ დღეში სიცოცხლეს უნდა გამოვეცხადო. მეფის კითხვებს სწორად თუ ვერ ვუპასუხებ — თავს წაშაპრობენ.

— კი მაგრამ, ახეთი რა კითხვებია? — გაეკვირა მეცხვარემ.

— ჭერ, მეფის ღირებულება უნდა დავაწუხო; შემდეგ უნდა გამოვუანგარიშო — რამდენ ხანში შემოვლის დედამიწას, და ბოლოს, მისი ფიქრებიც უნდა გამოვიცნო.

— გულს ნუ გაიტებს, — გაამხნევა მეცხვარემ, — ხომ გაგვიანიათ, როგორც სულელსაც შეუძლია ბრძენს ჭკუა აწვალოს. მომეცით თქვენი ცხენი, ტანსაცმელი და გამოვლი მსახურები. თქვენს მაგივრად დოლონს მე გავმეცხვარებ, მეფეს ვუახლები და მის კითხვებზედაც ვუპასუხებ.

კიხე	საბურთო
ქაბარი	საბურთო
მე-13 გვერდზე	საბურთო
მოთხოვნილი გამოცანების პასუხები:	საბურთო
	საბურთო

ეპისკოპოსს არაფრად ეპიტნავა ის ამბავი, რომ მისი მეცხვარე შეძლებდა პასუხის გაცემას იმ კითხვებზე, რომელთაც თვითონ ვერაფერი მოუხერხებდა. მაგრამ სხვა გამოსავალი რომ არ იყო, მეცხვარის რჩევას დაჰყვა.

მეფემ ეპისკოპოსი ცივად მიიღო. მეცხვარე მეფეს მღაბლად მიესალმა და, — შზად გახლავართ, თქვენი უდიდებულესობაო, — მოახსენა.

— მიასუსხეთ პირველ კითხვარე: რა ვლირვარ მე?

— ჩვენში, — დაიწყო მეცხვარემ, — ერთი მონეტა; რომელსაც სუვერენს* ვეძახით, 20 შილინგი ღირს; მეორე მონეტა, რომელსაც კრონს** ვუწოდებთ — 5 შილინგი; სუვერენს გამოკლებული კრონი 15 შილინგად ფასობს. მაგრამ თქვენ, თქვენი უდიდებულესობავ, თვითონ სუვერენი ბრძანდებით. მაგრამ თქვენ და, რაღა თქმა უნდა, კრონიც (გვირგვინიც) ვამშვენებთ. ასე რომ, თქვენი ფასი ზუსტად 25 შილინგია. პასუხმა მეფისა და კარისკაცების მხიარული სიცილი გამოიწვია.

— არ მეგონა, თუ ასეთი პატარა ფასი მქონდა, — ჩაეცინა მეფეს, — მაგრამ თქვენი მსჯელობა ლოგიკურია და პასუხიც სწორად ჩავეთვლეთ. ახლა, ბატონო ეპისკოპოსო, მიპასუხეთ, რამდენ ხანში შევძლებ მთელი დედამიწის გარს შემოვლას?

— ესეც ადვილია, თუ თქვენი უდიდებულესობა მზეს ახეყება და მასთან ერთად იმოგზაურებს მთელ დღეს ისე, რომ ერთი წუთითაც არ ჩამორჩეს. მაშინ მზის მეორედ ამოსვლამდე, 24 სათის განმავლობაში, მთელი დედამიწას მოივლიდით.

— მართლაც გონივრული გზაა, — გაეცინა მეფეს, — მაგრამ თქვენ უკანასკნელი და უძნებლესი კითხვა კიდევ დავჩაჩათ; მითხარით, რაზე ვფიქრობ ამ წუთს?

— ო, ეს ყველაზე იოლი კითხვაა, — თქვენი უდიდებულესობა ფიქრობს, რომ მე კენტერბერის ეპისკოპოსი ვარ, მაგრამ თქვენ სცდებით, მე მხოლოდ მისი საწყალი მეცხვარე ვახლავართ.

* სუვერენი — 1. მონარქი, სუვერენი; 2. მონეტა, რომელიც ერთ ვირვანკა სტერლინგს შეიცავს (20 შილინგი).

** კრონი — 1. გვირგვინი (მეფისა); 2. მონეტა, რომელიც 5 შილინგს შეიცავს.



მეცხვარემ სწრაფად გაიხადა მდიდრული სამოსი და ყველამ აშკარად დაინახა, რომ მათ წინაშე კენტერბერის ეპისკოპოსი არ იდგა.

მეფე კმაყოფილი დარჩა მეცხვარის პასუხებით, თვითონ იგი გულუ-

ხვად დააქილდოვა და აღუთქვა, რომ მის ბატონს, კენტერბერის ეპისკოპოსს სიყვდილი აღარ დასჯიდა.

ინგლისურიდან თარგმნა
მანანა კაპაძემ,
57-ე სპ. სკოლის მოსწავლემ.



ქართული

სხელ-სხელი მეტლე დათა იადა ქარ-
კში გამოწყობილს ხელეზუც თბილი
ხელთათმანები ეცვა, სადავეს ეწეოდა და
ცხენს მალ-მალე ურტყამდა მათრახს,
ეტყობოდა — ეჩქარებოდა. სკოლისკენ
მიმავალ ფირუსს ბევრჯერ შეხვედრია
დათა თავისი რახახა ეტლით, მაგრამ
მეეტლეს თითქმის ყოველთვის ეჩქარე-
ბოდა რკინიგზის სადგურზე, დ საწყალ

ენიო ბეზარაშვილი

მატყარი ჯივალ ლოლუა

სკოლა შორს იყო; ფირუსი დილა-
სისხამზე გადიოდა სახლიდან, მაგრან
მაინც ხშირად უგვიანდებოდა პირველ
გაკვეთილზე.

კარგად ახსოვს ფირუსს ერთი ზამ-
თრის დილა:

ციოდა. სახლის სახურავებზე ლო-
ლუები ეკიდა. დიდი თოვლი არ იდო,
მაგრამ ყინავდა და გაყინულ, ოღო-
როდო გზაზე სიარული უჭირდა. მხარ-
ზე მელნით დალაქული, შინ შეყერილი
ჩითის ჩანთა ეკიდა. თავზე მამისეული
თბილი ქუდი ჩამოფხატა და უკვე
კარგად გაცვეთილი, უფროსი ძმის პალ-
ტო ეცვა. ბიჭს პალტოს საყვლო წამო-
ეწია და სახე შიგ ჩაემალა. ხელები სა-
ხელოებში შეეყო. უნდოდა ჩქარა ევლო,
მაგრამ რეზინის ძირიანი ძველი ფე-
ხსაცმელი ყინულზე ცურავდა.

ზუსუნებდა სუსხიანი ქარი, ხვეტდა
გაყინულ თოვლს და ბიჭს შიგ თვა-
ლებში აყრიდა.

ფირუსს ეჩქარებოდა, — გაკვეთილი
არ იცოდა ქართულში; წიგნი არა ჰქონ-
და, სკოლაში უნდა ეთხოვა და ესწავ-
ლა.

— თქარ-თქურ-თქარ-თქურ, — მო-
ესმა ბიჭს ცხენის ფეხის ხმა. უკან მო-
ისუნდა, მაგრამ ცხენი ჯერ კიდევ არ
ჩანდა.

ქარი ისევ ზუოდა, ცხენის ფეხის ხმა
და ეტლის თვლების რახახი ხან ახ-
ლოს მოჰქონდა, ხან სულ კარგავდა.

ბიჭს სიხარულით აეგო გული, მიხ-
ვდა: ეს დათა ეტლი იყო.

— დაეუცდი, დამსვამს, — ჩაილაპა-
რაკა ბიჭმა და ნაბიჯი შეანელა.

ეტლიც მალე გამოჩნდა, ეტლში თაფ-
ლისფერი ცხენი ება. კოფოზე მალაღი,



ბიჭს არც კი მოხვდავდა სოლემე. ახლა კი... იმედი აქვს ფირუზას, რომ დათა გაუჩერებს ეტლს და დასვამს. ეტლი ოცი წუთით ადრე მაინც მიიყვანს სკოლაში და... მოასწრებს გაკვეთილის სწავლას. ჰო, წინათ არ უჩერებდა, მაგრამ დღეს გაუჩერებს, — დათა ახლა მისი ნაცნობი და ახლობელია!

იმ დღეს დათამ ცხენი წყალზე მიყვანა. პირუტყვი გაჯიუტდა და წყალი არ დალია. შევეტლე ხან გაუჯავრდა, ხან მოეფერა, მაგრამ ვერაფერს გახდა და თქვა:

— ალბათ საბანიანა წყალი, ქალები გარცხავდნენ რამეს!..

ის იყო უკან უნდა გაბრუნებულიყო დათა, რომ ფირუზამ ონკანზე ვედრო აასვო და ცხენს წინ დაუდგა. ცხენი დაეწაფა სუფთა წყალს, წუთში დაცალა.

დათას მოეწონა ბიჭის საქციელი და ჰკითხა:

- ვისა ხარ, ბიჭო?
- თანდათან გაბოსი.

— თანდათან გაბოსი? — გაედრემა დათას. — ჩვენი ბიჭი ყოფილხარ. შენი უფროსი ძმა ჩემი ცოლის ნათლულია. გიგლა არა ჰქვია?

- ჰო, გიგლა ჰქვია.
- ერთი ბეჟო იყო, რომ მოგნათლეთ.
- ვიცო, მამარეგმა მითხრა. — თქვა ბიჭმა.

— სკოლაში დადიხარ? როგორა სწავლობ?

— კარგად.

— ყოჩად, კარგი ბიჭი ყოფილხარ. უნდა ისწავლო, მამ! თუ გინდა, რომ კაცი გამხივდე, უნდა ისწავლო. — დათამ ცარიელი ვედრო ფირუზს დაუბრუნა, ცხენს აღვირში ჩაავლო ხელი და გაბრუნდა.

მას შემდეგ ფირუზი ახლობლად სთვლის დათას. ახლა ამიტომ სჯერა, რომ გაუჩერებს ეტლს...

— დამსვამს, დამსვამს! — ერთხელ კიდევ დაიბნედა გული ბიჭმა და ეტლიც წამოიწვია. ფირუზმა შესძახა:



— დამსვი, ძია, დამსვი, სკოლაში მაგვიანდება!

დათამ გადმოხვდა ბიჭს, მერე სადავე მოსწვია, ისევ მიუშვა.

— არუ! — ცხენს მათრახი უცხუნა და ეტლი გააქროლა.

დათას რეინიგზის სადურზე მიერქაბრებოდა, — ყველა მეეტლისათვის უნდა მიესწრო, მატარებლიდან ჩამოსული მგზავრები სოფელში უნდა აყვანა და ფულები ჩაეჩრიალებინა. აბა, როგორ დაკარგავდა დროს!..

ფირუზამ წინ წასულ ეტლს კიდევ გასძახა:

— ძია დათა, დამსვი, დამსვიიი!.. — მაგრამ მისი ძახილი ქარის ზუზუნმა შთანთქა.

გულდაწყვეტილმა ბიჭმა ყინულზე სრიალ-სრიალით განაგრძო გზა

ი. გომეზაზვილი: სწავლა

ძალა და იარაღია. როგორც უღონო და უიარაღო ლაშქრობის დროს სვება მსხვერპლად ძლიერი. სა და დაიარაღებულია, ისე უსწავლელმა უნდა დაუტოვოს თავი. სი ადგილი, გზა დაუთმოს სწავლულსა, და მოუდგეს უკან, გახდეს მისი შემავცერალი.

დ. გურამიშვილი: თუ კაცს ცოდნა არა აქვს, ვახტანგავს წუთისოფელი.

მ. გორამი: სწავლა ყოველთვის საჭიროა, მთელი სიცოცხლის მანძილზე... იგი ბევრ სიხარულს ანიჭებს ადამიანს.

მხატვან VI: კაცსა სწავლა გაანათლებს, ვითა მთვარე ღამე-ბნელსა.

ნ. ზელინსკი: დაეუფლე ადამიანთა მთელი ცოდნის მარაგს და არ ჩაიკეტო ერთ ვიწრო სპეციალობაში, — აი, პირველი, რაც შეგინდა გირჩიო შენ.

...ისწავლე შეუბოვრად, ისწავლე ყოველთვის, — აი, მეორე, რაც შეგინდა გირჩიო შენ.

კონსტანტინე: თავისუფალი დროსი ყოველი წუთი ადამიანმა სწავლას უნდა მოახმაროს.

3. ი. ლენინი: ბეჭითი, გულმოღვივებელი და შეუბოვარი სწავლა — აი, ერთადერთი საიმედო გზა ცოდნის შეწვივადების დასაუფლებლად.

მ. ლომონოსოვი: მეცნიერება ქაბუთი სასრლოებს, მოხუცთ ლხენას ანიჭებს, ბედნიერ ცხოვრებაში გვაშველებს, უბედურ შემთხვევაში გვიცავს, შორეულ მგზავრობაში არ გვაბრკოლებს, მნათურ სიმწვდებში გვათრებს.

მეცნიერება გემკურნალობს ყველგან, ადამიანთა შორის და უდაბნოში, ქალაქის ნმაურში და მარტოობაში, ტკბილია იგი მყუდროებაშიცა და შრომაშიც.



იოსებ გრიშაშვილი



ღრმა მწუხარებით, დიდი გულსიტკივილით გამოეთხოვა ქართველი ხალხი საქართველოს სახალხო პოეტს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილს.

ქართულმა ლექსმა დაჰკარგა მისი ერთ-ერთი მედროშე, ქართულმა მეცნიერებამ— დაკვირვებული და თავისებური მკვლევარი, თბილისმა—მისი უბადლო ტრუბადური.

სამოცი წელი იღვწოდა პოეტი, უმღეროდა მამულს, ხალხს, სილამაზესა და სიცოცხლეს; დაულაღავად ემსახურებოდა ჩვენს თეატრს, იკვლევდა წარსულს, მშობლიურ ენაზე ამეტყველებდა მოძმე ერების უკვდავ ქმნილებებს.

იოსებ გრიშაშვილმა, როგორც დიდი ნიჭის შემოქმედმა, წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ პოეზიაში. იგი ჭეშმარიტად სახალხო პოეტი იყო, მას სიცოცხლეშივე წილად ხვდა ხალხის განუზომელი სიყვარული და პატივისცემა.

ოსებ გრიშაშვილი ბავშვების დიდი მეგობარი იყო. იშვიათად თუ იქნება ქართველი ბავშვი, ზეპირად რომ არ იცოდეს მისი ლექსები...

დიდი ღვაწლი დასდო იოსებ გრიშაშვილმა ქართულ საბავშვო მწერლობას, კერძოდ— ჟურნალ «ბიონერს». ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამ ჟურნალის მკითხველები თქვენი მამები და დედები იყვნენ, გრიშაშვილი აქტიურად მონაწილეობდა ჟურნალის მუშაობაში, ბეჭდვდა საბავშვო ლექსებს, რჩევა-დარიგებით ეხმარებოდა რედაქციას. ეს გულისხმიერება ჟურნალისადმი მას სიცოცხლის ბოლო წლებამდე არ შეუწელებია.

იოსებ გრიშაშვილის სახელი მუდამ დაუვიწყარი იქნება ყველასათვის, ვისაც უყვარს ლექსი, ვისაც უყვარს თბილისი, ვისაც უყვარს თავისი სამშობლო.

კას აკეთაჲს კეუოსოკი



მ. რაშვილი

მხატვარი ა. სპალოზუბოვი

— კარი — წამოვიძახე მე.
— რა? — შეკრთა მხატვარი.
— კარი თავის ადგილას არა.
— რას ამბობთ კარი თავის ადგილასა, მას ისე გა-
ვკეთებთ, რომ კიდევ იღებოდეს და იხურებოდეს.
— საქმეც იმაშია, რომ კარი „თავის ადგილასა“. ის
კი „ეკვსი კვრია. ჯერ არ ჰკიდა ზედ!“ იგი ხომ ჯერჯე-
რობით „არსებობდა“!

მხატვარმა ყველაფერი გაიგო, მუყუასაგან ახალი
კარი გამოსჭრა და მოძებნა მისი ადგილი.
და ასე, სურათსა და სურათს, სცენასა და სცენას
უთანხმებენ ერთმანეთს რეჟისორი და მხატვარი. ბოლოს
ყველაფერი ნათელი ხდება. მხატვარი მიდის ესკიზების
დასახატად, ხოლო რეჟისორი...
ეჰ, რეჟისორს კიდევ ბევრი სამუშაო აქვს!



კ

რეჟისორი ანაწილებს ჩოლებს

ის შეეთავაზო სკოტინინის როლი? ვი-
ნა ჩვენს თეატრში ყველაზე სწელი?
მსახიობი ნ. აი, მას უნდა შეეთავაზო ეს
როლი. დიახ, დიახ. იგი წინა სპექტაკ-
ლშიაც თითქმის ასეთ როლს თამაშობ-
და. მაშასადამე, ყველაფერი რიგზე იქნება. მაგრამ, მო-
თმინეთ! მან ხომ შეიძლება უზარალო გაიმეოროს იგი-
ვე, რაც წინა სპექტაკლში შესრულა. ეს კი — საინტე-
რესო აღარ იქნება. არა სჯობს, სკოტინინის როლი მსა-
ხიობ მ.-ს მივცე? თუმცა ის არც ისე სკელია და არც
არასდროს უთამაშია მსგავსი რამ, მაგრამ... გავიხსენოთ
როგორია მსახიობი მ., სცენაზე კი არა, — ცხოვრებაში:
რამდენი სსაცვილო ამბავი გააბნა თეატრის უყანასკენ-
ლო საგაეტროლო მოგაზურობის დროს!.. კარგი იქნება,

სკოტინინის როლი მას მივცეთ. რა ვუყუთ, რომ იგი
ახალგაზრდაა? ერთ დროს არავის არ სჯეროდა, რომ
ახალგაზრდა ჩერკასოვი შესძლებდა სამოცდაათი წლის
მოხუცის როლის შესრულებას. მან კი შესძლო. და მერე,
როგორ! მსოფლიან მეცნიერის — პოლუეჟაევის როლი,
რომელიც ნ. ჩერკასოვმა ფილმ „ბალტიკის დეპუტატში“
თამაშა, მსოფლიო კინოხელოვნების ერთ-ერთ უდიდეს
მიღწევად ითვლება.

გადაწყდა — სკოტინინის როლს შეასრულებს მსა-
ხიობი მ.
ასე თანდათან, თითოეულმა როლმა იპოვა თავისი
შემსრულებელი.
მაღე. რეპეტიციების დაწყებაც შესაძლებელი გახ-
დება.



ჩ

რეჟისორი ახჩაებს ჩეპუზიხიებს

ვეულბრივ მაგიდას უსხედან მსახიო-
ბები და რეჟისორი. რეჟისორს წინ
უდევს პეისა. მსახიობებს ხელში ფანქ-
რები უჭირავთ. კვიბოლომთ პეისა
„უშეწიდას“ პირველ მოქმედებას: უჩ-
ვეულუ დილაა. არის ერთი აურხაური. პროსტაკოვები
წინა დღეს ჩამოსული სკოტინინის ქორწილისათვის ემ-

ზაღებიან. ბელესა და სამ-
ზარეულოს შორის შინამო-
სამსახურეები გარბი-გამორ-
ბიან. თათბი, სადაც მიტ-
როფანეს აზომებენ ამ სა-
ზეიმი შეხვედრისათვის შე-
კერილ ხიფთანს, ერთიანად
არულ-ღარეულია. აქვე გა-





მალეობი შლიან სუფრას... ყველა ერთ ფაციფუცშია, გარდა მიტროფანისი, რომელიც მხოლოდ იმასლა ფიქროს, როგორ დაიმტკიცონ თავი მომავალ გაყვითლოდნა.

და აი, გამოჩნდა სკოტინინი.
„...სკოტინინი: რატომ არა ვხედვავ ჩემს საცოლეს? განა დრო არ არის იცოდეს, რომ ათხოვებენ?“

როგორ უნდა წარმოითქვას ეს ფრაზა? მხნედ, მზიარულად, თუ პირიქით, — უკმაყოფილოდ, წყენით?

საჭირო ამის ვალდაწყევბა.
— კი მაგარამ, საიდან მოვდივარ მე? — კითხულობს სკოტინინის როლის შემსრულებელს.

ამის შესახებ, გამოიტყუდებით, რეჟისორს არ უფიქრია. თუმცა ამანუა დამოკიდებული, სკოტინინის მიერ პირველი ფრაზის წარმოთქმის ექლო, მისი ექსტები, მიხვარა-გამხვარა და გარეგნული იერია...

— სასიძო ხომ წინა სათაშის მოვიდა? მაშინ, დეი, იგი პირდაპირ აბანოდან მოვიდეს! — შემოაქვს წინადადება მსახიობს, — მის აბანის ცოცი ამოურლიაკვებია, კმაყოფილი და გაბაბარულია.

ყველას მიეწონა ეს წინადადება. კარგია, რომ სკო-

უნდა სდუმდეს? — ესა და სხვა მრავალი საკითხი წყვედება მსახიობებისა და რეჟისორის მიერ.


მაშა-პროსტაკოვის როლის შემსრულებელმა ასეთი რამ შემოგვთავაზა: ჩემი გმირი მოქმედების მთელ მანძილზე რაღაცას უნდა ქარავადეს, ხელში ერთავდ საქარავაი ექიროსო.

— საქარავაი და პროსტაკოვი? რატომ?

და მართლაც, ეს ასე უნდა იყოს! რაკი ჩერჩეტი ქალბატონი პროსტაკოვა სახლის სრული მმბრანებელი ვახდა, მის საბარლო ქმარს ისედა დარჩენია, რომ „ილიასახლისოს“. და არა, დღის უტყვი, დაბეზაიებული პროსტაკოვი და ქარავას ცხვირსაოცებს.

ესე ისახება მომავალი სექტაკლის მიზანსცენები. პიესის ავტორი ვაკვირი მუითითებს ზოგიერთ მიზანსცენაზე: „სარკმელში იცქირება“, „ხეთთანს იზომებს“, „საბილობს“; ძირითადან, მიზანსცენებს რეჟისორი და მსახიობები აკეთებენ.

სასცენო ხელოვნებაში, ისევე როგორც ყველა სხვა ხელოვნებაში, მთავარია — სიმართლე. მსახიობმა ისე



ტინინი გამოცხადდება კმაყოფილი და ბედნიერი, — ის ნი ქორწინების მოლოდინშია. ამით უფრო ნათლად შეიძლება ვაჩვენოთ მისი დაბნევა და გაბოროტება, ქორწინება რომ ჩაისლდება. ვადაწყდა! საჭირო ინტონაცია მონახულია. ჩაიხსოვით კითხვა გრძელდება.

ეს არის პიესაზე მუშაობის პირველი ეტაბი, ეგრეთ წოდებული „მაგიდასთან კითხვა“. მსახიობები რვეულში კითხულობენ თავიანთ როლებს, რჩევას ეკითხებიან ერთმანეთსა და რეჟისორს. ერთად ეძებენ პიესის გმირებისათვის საჭირო ინტონაციას, ექსტებს, მომართობის რიტმს...

როცა მოქმედების ხაზი მსახიობებისათვის ძირითადან ნათელი, ისინი ვანზე დებენ რვეულებს და მაგიდასთან დგებიან. სარეპერტიციო ოთახში ფერდებით, სკამებით, კარადებით ეწყობა მომავალი დეკორაციების მაგვარი რამ.

საიდან და როდის შემოვიდეს მსახიობი, სად დაჯდეს, სად დადგეს, რა გააკეთოს, როცა, მოქმედების მიხედვით,

უნდა ითამაშოს თავისი როლი, რომ მასყარებელი პიესის გმირებთან ერთად დედადეს, წუხდეს, ხარობდეს, სწავლობდეს მათგან—თუ როგორ უნდა იცხოვროს და როგორ არა.

ძვილა მსახიობისათვის ცხოვრებისეული სიმართლის მიღწევა. ამაში მისი პირველი მრჩეველი და მეგობარია — რეჟისორი.

მომთხოვნი და მომთმენი პედაგოგი-რეჟისორი ასწავლის მსახიობებს, მათი ცალკეული მონაცემები ერთ მთლიანობაში მოჰყავს, რათა მსახიობებმა, თუნდაც ყველაზე ნიჭიერებმაც, ხელი კ არ შეუშალონ ერთმანეთს, არამედ, ყველამ ერთად — თითოეულმა თავის შესაძლებლობისდაგვარად, — ხელი შეუწყოს საერთო ამოცანის გადაწყვეტას: გაიხსნას პიესის მთავარი აზრი, იღვა.

...პიესის ტექსტი და გმირების ქცევები მსახიობთა „საკუთარი“ ტექსტი და ქცევები ხდება. ამის შემდეგ რეპერტიციები სარეპერტიციო ოთახიდან სცენაზე გადადის.

რეჟისორება შექმნა სპექტაკლი



ეკორაციები მზადაა. ორკესტრმა ისწავლა კომპოზიტორის მიერ დაწერილი პარტიტურა. მსახიობებმა დაამთავრეს როლებზე მუშაობა.

მაშასადამე, დროა სექტაკლის ყველა ცალკეულ ნაწილს ერთ მივლილდ შეიკრას. რეჟისორი ახლა ორგანიზატორი ხდება.

დეკორაციები, მუსიკა, შუქი, კოსტუმები, გრიბი, — ყველაფერი მის კონტროლს ექვემდებარება.

— რაკომ არაა დამბაჩა პროსტაკოვასკენ დამიზნებულო? — აჩერებს რეპერტიციას რეჟისორი.

არ გაგიკვირდეთ: „დამბაჩას“ ეძახიან გამნათებელ მოწყობილობას; თურმე, მსახიობისკენ მისი მიმართვა დავიწყანია.



რეპეტიცია გრძელდება. ცოტა ხნის შემდეგ, რე-
ცისორი კვლავ ახერხებს რეპეტაციას.

— რატომ სდუმს ორესტის? —
ორესტის ასწორებს თავის შეცდომას.

— გეათავს, უფრო გარკვევით ილაპარაკეთ! —
მიზარაძეს რეცისორი სტაროდმის როლის შემსრუ-
ლებელს, — ვერ გავიგე ტექსტის აზრი. და მერე, რა
მოსდის თქვენს პარკს?!

...მიმდინარეობს გენერალური რეპეტიცია. სპექ-
ტაკლი პირველად მიდის შეუფერხებლად. რეცისორი
ხდება პირველი მაყურებელი.

ცარიელ დარბაზში იგი პირველად უყურებს სპექ-
ტაკლს.

გავს კიდევ რამდენიმე დღე და, დარბაზი მაყურებ-
ლებით გაივსება. რეცისორის შრომა ყველაზე მკაცრი

სკულაჲა მანსაუთიჯეჲუი პკოჲუსი

ძვირფასო ბავშვებო, ერთხელ ერ-
თმა თქვენმა თანატოლმა ბებუნამ.
რომელიც თეატრალური ხელოვნე-
ბითაა გატაცებული, ასეთი შეითხვა
დამისავ: რას აეთმებს რეცისორი
დრამატურება და მსახიობისაგან
განსხვავებით? ვიცი, პოესა ლიტერა-
ტურული ნაწარმოებია და რეცისო-
რი მას სცენური ნაწარმოებად აქ-
ცევს. მაგრამ როგორ? ვიცი, რომ
რეცისორი ხელმძღვანელია, ორგა-
ნიზატორი, რომ პოესას არჩევს, რო-
ლებს ანაწილებს. ყველაფერი ეს
თეორიულად თითქოს შეგის, მაგ-
რამ კონკრეტულად მაინც არაა ნა-
თელი.

ვინაიდან დარწმუნებული ვარ,
ბევრ თქვენგანსაც იტაცებს ხელოვნე-
ბის ეს დარგი. გადავწყვიტე პასუ-
ხი ამ კითხვაზე ჟურნალის საშუალებ-
ებით გამეცა.

რეჟისურა საერთოდ, და კერძოდ,
რეცისორის როლი და ადგილი თე-
ატრალური ხელოვნებაში, მისი სი-
ძლიერობა და მისი რთული და მრავ-
ალის მომცველი. ყოველგვარი ახსნა
მშრალია და ცალმხრივი და აშენდა
სწრაფად ვერ გადასისცემს რეცისო-
რის შემოქმედებითს პროცესს და
ახსიათს. მაგრამ მე მოგიყვანთ მთ-
ვალისთ, რომელიც თეატრის დიდმა
რეჟისორებთან, გენიალურმა რეჟი-
სორებთან, უთხრა სტანისლავსკიმ
თავის მოწოდებს ასეთსავე შეიკონხის
პასუხად მოუყვანა და, ფიქორბ, ბე-
ვრი რამ თქვენივე მისახვედრი გა-
ხდება. ყოველ შემთხვევაში ნამდვი-

ლად აღვიძრავთ ამ საკითხის ღრმა-
წყდომის სურვილს.

— ვთქვათ, — უთხრა სტანისლავსკიმ
თავის მოწოდებს, — რომელიმე ჩვენს
ნაცნობს ხშირად ეკარგება ფული, ნი-
ვანობა და ზოგჯერ ისეთი და, რომელიც
ჩვეულებრივია ქურდმა ან შეი-
ძლება სახლიდან წაიღოს. მაგალი-
თად, სურათი, ფერადი საღებავები
და სხვა. იქნებ რომელიმე შინაურ-
თავანია შემოჩვეული! უნდა ვაგონს,
მაგრამ როგორ? გამუდმებით სახლ-
ში ხომ ვერ დაქვება?

მავინ ის ასე იქცევა.

ფონოგრაფს (ასე ეწოდება მაგნი-
ტოფონის წინამორბედ ხმისჩაწერს)
ძალიან გრძელ ფირს დაახვევს და
მომართულს დატოვებს. რასაკვირ-
ველია, მალევე, ყოველთვის, სა-
ხლიდან გასვლისას ჩართავს ფონო-
გრაფს. დასაზნუნება თუ არა. ამოწ-
მებს. — ხომ არაფერი ჩაიწერა. ასე
გავრცელდა რამდენიმე დღე, ფირი
თავისუფალი იყო, არავითარი ჩანა-
წერი და არც რამე დაკარგული! ბო-
ლოს მომხრედა ეს საქმიანობა და
იმ დღეს, როდესაც გადაწყვიტა თა-
ვი დაეხებებინა და უკანასკნელად
შეამოხდა ფირი, ჩანაწერი დახვედა,
და აი, როგორი: გაურკვეველი ხმაუ-
რი. — ჰრიალის თუ ფსაჲუნის მსგა-
ვსი. შემდეგ სიჩუმე. შემდეგ დაცე-
მისა თუ ჩამოვარდნის ხმა. კვლავ
სიჩუმე... ფიზიხლი ნაბიჯები. —
ტრამპანაჲის ჩურჩული. კვლავ
ფიზიხლი ნაბიჯები, სიჩუმე. ნაბი-
ჯების ხმა ყრუ, შემდეგ მკაფიო,

რომელიც ძლიერდება და წყდება...
სიჩუმე... ბრახუნ... სიჩუმე... აბა.
დაუჩქარე... (კვლავ კაცის ხმა). —
მოთვა (იმავე მამაკაცის ხმა)...
ფრთხილი, აჩქარებულად, ნაბიჯები...
სიჩუმე, შემდეგ ისევ რაღაც ხმაუ-
რი... და მტერი არაფერი.

ყველაფერი, რაც ფირზე ჩაიწერა,
— ეუნება სტანისლავსკი მოწოდებს,
ეს პოესა, დრამატურის ჩვენი, ხო-
ლო რაც აქ მოხდა — რეჟისურაა,
ე. ი. რეცისორის საქმე. რეცისორი
წაითხვებს რა ამ ნაწერს, უნდა წარ-
მოიდგინოს, კონკრეტულად დაინ-
ხოს რა ნაწერის მიხედვით ყველა-
ფერი, რაც აქ მოხდა. აბა, დაფიქ-
რდეთ და წარმოიდგინეთ, რა შე-
ძლებოდა აქ მომხდარიყო.

მარტოხელა კაცის ოთახი, ძველი
სახლის პირველ სართულზე. დიდი
ფანჯარა შეკრუბულ ქუჩაზე გადის,
სიღნაღე მოჩანს მუშოხელი დიდი
სახლის უკანა კედელი და ფანჯარას-
თან მდგარი ხის ტოტი. დიდი კარე-
ბი ფანჯრის მობრძანებე მხარესაა.
ოთახი ნათელია, მალაქობრიანი და
ფართო. კაცი, რომელიც ამ ოთახში
ცხოვრობს, უსათურად მწიგნობარია.
რომელიც თავისი შრომით, მოკრძა-
ლებით ცხოვრობს. მარტოხელა კა-
ცის პირობაზე. ოთახი მაინც მოწყ-
ვებულია ჩაითვლება. ყველაწ
წიგნები აწყობა: თაროზე, მაგიდაზე.
კარადის თავზე. ყელბუზე ნახატე-
ბია; ავერ — საწერად გამზადებული
ტოლოები, მოღებრები. ეტყობა ფე-
რწერის მოყვარულიცაა. ზეთის სა-
ლებზევებცი აქვე აწყობა. ფანჯარას-
თან საწოლია, რომლის ზემოთ ახალ-
გახრდა ქალის პორტრეტი ჰკიდია.



კვიციანი

სასტიანი,
42-სკოლა,
II კლასი.

ბენ, თუ რა გაცაცებულ შემოქმედებით შუა შაობას ეყვინ ჩვენი რესპუბლიკის ჩახდასხვა კუბოში მტყორები მოსწავლეები, როგორი სიყვარულით ცდილობენ ისინი ქაღალდზე, ტილოზე თუ სხვადასხვა მასალაში ალებდონ ცხოვრებისა და სინამდვილის სინტერესო მხარეები.

გამოყენა მრავალფეროვანი ფანჯარები. ვადაც და თინატურადაც. აქ შეხვედებით სპორტულ თემებს, ჩვენი უცვლელფერობის ეპიზოდებს. პორტრეტებსა და ნატურ-მორტებს, პეიზაჟებსა და ზღაპრების გმირებს, ჩანახატებს ნატურიდან და წარმოსახვით შექმნილ ფანტასტიკურ სურათებს... თითოეული ავტორი თავისებურად საინტერესოდ, უშუალოდ გამოხატავს თავის შინაბეჭდილობას, აქვს უნარი შეამჩნიოს მოვლენაში დამახასიათებელი, მთავარი და ტიპური. ვნახოთ, როგორ განავითარებენ და მწყები შემოქმედნი თავიანი მუშაობას სახვით ხელოვნებაში. ყვერჩეობით კი სულითა და გულით ვუსწავლოთ მათ წარმატება წყველასა და შემდგომ დაოსტატებაში.

კიაა და ნათობს რიტმის გრძნობას, ამიტომაც კომპოზიციაში შეაქვს ბეგის სილუეტები, რომლებიც მდილიანობას ანიჭებს და ავსებს გამოხატულ ენაშობს.

პროფესიულ ჩვევებს ამჟღავნებენ უფროსკლასიელები. ზოგ ნამუშევარში იგრძნობა გარკვეული პრაქტიკა და თეორიული ცოდნა სახვითი ხელოვნების საიდუმლოებებისა. სამტრედიის პიონერთა სახლის ხატვის წრეში, ჩანს, ნაყოფიერად სწავლობს მოსწავლე გ. კახბერიძე, რომელიც მშვენიერად გრძნობს ფერებს, თავისუფლად წერს ზეთის საღებავებით.


ფერადი ფანქრით მშვენიერად ძერწავს სახის ფორმებს მერვე კლასის მოსწავლე შოია გვეტაძე. შოიას, ჩანს, პორტრეტი ეხერხება და ნატურიდან ხატვა უყვარს. მისი „გოგონას პორტრეტი“ გამოყენის ერთ-ერთი საინტერესო ექსპონატია.

ნადირაძის ნამუშევრები ისეთ გრძაყოფელ მასალაშია განხორციელებული, რომელიც მხოლოდ პროფესიონალი მხატვრებისათვის არის ხელმისაწვდომი. ეს არის ანახტქლის ხერხი და იგი საციკლოურ საბეჭდო მოწყობილობის ითხოვს. ნორჩ მხატვარს კარგად აუთვისებია ამ ხერხით მუშაობა. იგი მშვენიერად გრძნობს ნახატს, პროპორციებს და

საერთო ხაზებში და სილუეტში აღწევს აღამიანებს ფიგურების მართალ წარმოსახვას.

ბეგრი, ძალიან ბევრი ნამუშევარი ამჟღავნებს მოწარალი ავტორების მხატვრულ ნიჭს, მისწრაფებას და შემოქმედებით უნარს ამათუ იმ დარკში. არანაკლები უნარდღობის დიარსია სხვადასხვა ნახელავი — ქანდაკებები, ნაქსოვები, ბავშვები ავლენენ კარგ გემოვნებას, გონებახვეილობას, ფანტაზიას, გამოგონებლობას. ნამუშევრები გვიჩვენებენ

ნატურმორტი



ლილი მისაძი,
მცხეთა, ძალისხის
საშუალო სკოლა,
IX კლასი.



უველაზე აბტან აღამიანად ღღეს-ღღობით ითვლება რომისა და ტკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ეთიოპიელი მორბენალი ბაილა აბებე; ტკიოსში მართაონული დისტანცია—42 კილომეტრი და 196 მეტრი, 265 2 საათისა, 12 წუთისა და 11,2 წამში გაიბრინა. აღანიშნავია, რომ პირველი ოლიმპიური

თიური თამაშების (1896 წელი) ჩემპიონმა, ბერძენმა ლეოსმა, ეს მანძილი 2 საათისა, 58 წუთისა და 50 წამში აღაძვარა.

მსოფლიოში უველაზე სწრაფ აღამიანება გერმანელ არმინ ჰარისა და ამერიკელ რობერტ ჰეიესს თვლიან; 100 მეტრი 10 წამში პირველმა რომის ოლიმპიადალზე გაიბრინა, მეორემ—ტკიოსის ოლიმპიადალზე.

მსოფლიოში უველაზე ღონიერ აღამიანად ითვლება საბჭოთა ძალისხანი რობერტ უაზო-

ტინსკი, მან ტკიოსის ოლიმპიური თამაშებზე 217,5 კილოგრამიანი შეტანდა ასწია.

მართაონულ დისტანციაზე რბენისას აღამიანის გული და აბლოკებით 28 000 ჯერ იკუმშება და 5 000 კილოგრამამდე სისხლს აუბადლებს.

მძლეოსნობაში მსოფლიო რეკორდების აღრიცხვა 1913 წლიდან დაიწყო. ამ დროიდან მოყოლებული, მსოფლიო რეკორდები უველაზე მეტჯერ ჩვენმა მორბენალმა ემილ ზატო-

ტეკმა და ფინელმა მორბენალმა პააკო ნურმინი დააყარეს; პირველმა 18-წერ დააუჭრობს მსოფლიო მიღწევა. მეორემ—17-წერ.

ბრაზილიელ ფეხბურთელ გაბრინას, მიუხედავად იმისა, რომ კოკლმა, მარჯვენა ფეხით მართლაც რომ უუმბარისებური დარტუმა აქვს; ამას წინათ, მოსკოვში ჩატარებულ ვარჯიშზე გაზომეს მის მიერ დარტმული ბურთის სიძლიერე. გამოიჩვენა, რომ მას 750 კილოგრამი ძალის დარტუმა აქვს.



უცნაური წვიმა

ხანდახან უცნაური წვიმა მოდის ხოლმე ერთ-ერთი ასეთი უცნაური წვიმა დაკავშირებულია „კუნელის პეპელასთან“.

კუნელი — ვარდისებრ მცენარეთა ოჯახს ეეუთვნის. საქართველოში მისი რვა სახეობა გვხვდება. უმთავრესად, ნაყოფის შეფერილობის მიხედვით, გავრცელებულია შავი და წითელი კუნელი.

შავი კუნელი 8 მეტრის სიმაღლემდე იზრდება. „მისი ნაყოფი, — მოგვითხრობს აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, — გვიან შემოდგომაზე, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც ყინვა ცოტას უტენს, საკმაოდ გემრიელია. მისი ნაყოფისგანვე აეთიშება სხვადასხვა წვენი, თათარის... ნაყოფს ახმობენ, ფეკვენენ და ფეკვილს ურევენ, ასეთი ნარებისგან აცხობენ ტუბიდ კვერებს.“

„ხილთა ქემაში“ კუნელი ჭეროვნად არის შექებული. კუნელის ნორჩი ფოთლებისაგან ამზადებენ ჩაისებრ სანძულს, ხოლო ფოთლებისა და კანისაგან შავი ფერის საღებავს იღებენ. მერქანი მკვრივი და მაგარი აქვს. მისგან პატარა-პატარა ნივთები აეთიშებენ. კუნელის გამოყენება ცოცხალ ლომებზე შეიძლება, მაგრამ, რადგან თან სდევს ბალის მცენარეების დიდი მტერი „კუნელის პეპელი“, — მის მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია.

შავ კუნელს — აფხაზეთში, რაჭაში, იმერეთში, ქართლსა და მესხეთში — ულაცს“ ეძახიან, ლეჩხუმში — კურმელას, გურიაში — კურკანტელას, სამეგრელოში უჩაქენციას ანუ უჩაქაჯლის სახელწოდებით არის ცნობილი.

წითელი კუნელის ნაყოფი არ იქმნება. იგი 3-5 მეტრის სიმაღლის ბუჩქნია; ფშავსა და კახეთში მას ძალქუნელას უწოდებენ, იმერეთში — ცხვირის უწილას და ბაბუასავაძლს.

აჭარაში — ყრუსა, სამეგრელოში — ქითაუნციას...

ამ მცენარესთან არის დაკავშირებული ის უცნაური მოვლენა, რომელიც „სისხლის წვიმის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კუნელს თან სდევს მწერი, რომელსაც კუნელის პეპელას ეძახიან. ეს პეპელი იჩენება კვერცხინად და ცხოვრობს ჯერ მატლის, მერე ჭუპრის და, ბოლოს — პეპლის სახით.

ჯერ ეს მატლი ანადგურებს კუნელის, კვირინის, ზღმარტლის, აკვლის, ვარდის, ვახის, ქარხლის, ვაშლის, კომშის, მსხლის, ქლიავის, ბუმის, გარავის, ალუბლის, ბაღისა და სხვა ხეხილის კვირტებსა და ფოთლებს. ჭუპრიდან პეპლად გადაქცევის შემდეგ, ანალური ხერხედიან უშვებს რამდენიმე სისხლისებურ წვეთს, რომელიც ეწვეთება ფოთლებს, ხოლო ადრის დროს წვიმის წვეთებს ღებავს, რის გამოც წვიმა სისხლისფერი ხდება. ძველად ადამიანი ასეთ წვიმას ლეთის რისხვად თვალდა.

ფერადი წვიმები სხვა მიზეზებითაც იხსნება.

1954 წლის გაზაფხულზე, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დაენბორტში მოვიდა მტრედისფერი წვიმა, რომელმაც ყველა სახლის სახურავი და სახანი მტრედისფერად შეღებდა.

ზნორად წვიმას ჩამოყვება თევზი, ბაყაყი, კიბო და სხვ., რა არის ასეთი არარეველებრივი წვიმების მიზეზი?

ცნობილია, რომ ძლიერი ქარიშხალი ტბაზე, ქობზე, მდინარესა თუ ზღვაზე გადქროლისას, წყალთან ერთად, ზნორად ჰაერში აიტაცებს — თევზებს, ბაყაყებს, მევლურებსა და კიბოებს, რომლებსაც შემდეგ, საღვას სხვაგან, ხმელეთზე ჰყარს.

მეცხრამეტე საუკუნის დამაწყისში, დანიამში, 20 წუთის განმავლობაში ზილი კაზობები ცვივდა. ნორვეგიასა და შოტლანდიის მცხოვრებლები ბევრჯერ „იღებდნენ“ ციდან საყვებს — წვიმადმოსული ქაშაყის სახით.

ძლიერი ქარები ზნორად აიტაცებენ ხოლმე დედამიწიდან სხვადასხვა ფერის მტვერს, რომლითაც იღებება წვიმის წვეთები და მოდის ფერადი წვიმა. რაც ასე აოცებს ადამიანებს.

ანა ნიხაძე



- სად გაატარე არდადეგები?
- პირველი სამი დღე — მთებში.
- დანარჩენი?
- საავადმყოფოში.

მასწავლებელმა მისწავლეს ჰკითხა:

— რა არის გამჭვირვალე საგანი?

მისწავლემ ვერ უპასუხა. — მაშ, კარგი, აკისნი, — უთხრა მასწავლებელმა, — გამჭვირვალე საგანი არის ისეთი საგანი, რომლიდანაც დანახვა შეიძლება. ახლა გასაკვირი?

— დიას, მასწავლებელი.

— მაშ, დამისახვლე მაგალითი.

— კიბე, მასწავლებელი.

გამომცდელმა ასეთი შეკითხვა მისცა მოსწავლეს:

— საფრანგეთის რომელი იმპერატორი დიანდა ერთ კუნულზე უდა გარდაცვალა მეორეზე? გაოცებული მოსწავლე მისჩერებოდა გამომცდელს. არ იცოდა რა ეპასუხა.

ცოტახანი შემდეგ გამომცდელმა სთქვა, — ნაპოლენო ბონაპარტი.

მოსწავლე ადგა და კარებისაკენ გაემართა, მაგრამ გამომცდელმა უკან დააბრუნა და ჰკითხა: — სად მიდიხარ, მე გამოიქვითავ არ დამიმორატებია.

— როგორ, — გაოცდა მოსწავლემ, — თქვენ ხომ შემდეგი მოსწავლე გამოიქვითავთ?!

მასწავლებელი: — მე-უღპარაკეთ შეტყობირზე. დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, იქნებოდა თუ არა არაჩვეულებრივი ადამიანი?

მოსწავლე: — რა თქმა უნდა, ის ახლა 400 წლის იქნებოდა.

ფრანგულიდან თარგმანა ნალი ბასიშვილმა



ქინორკობიკა

იპირ სონინი

მხატვარი ელზარ ამოკაძე

